პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანი.

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი.
№ 122 (12634) | შაბათი, 25 მაისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

მიფრინავს „კოსმოსი—18“

საკდესის ცნობა

1963 წლის 24 მაისს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-18“-ის მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაუვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი 89.44 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) 301 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი (პერიგეა) 209 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ 65 გრადუსი და 01 მინუტი.

სამეცნიერო აპარატურის გარდა, თანამგზავრზე არის:

— რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,996 მეგაჰერციანი სიხშირეზე;

— რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის;

— რადიოტერემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი. 1963 წლის 23 მაისი. საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის მიტინგის პრეზიდიუმში. ჩვენ მუდამ შენთან ვართ კუბა! მხურვალედ და მაგრად ართმევენ ერთმანეთს ხელს მოსკოვი და ჰავანა. მარადიული და ურღვევია საბჭოთა ხალხისა და კუბელი ხალხის მეგობრობა!

ფოტო ვ. სმეტანინისა და ს. სმირნოვისა.

საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივი განცხადება

1963 წლის 27 აპრილიდან 24 მაისამდე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით საბჭოთა კავშირში მეგობრულ ვიზიტად იყო კუბის რესპუბლიკის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი და რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ამხანაგი ფიდელ კასტრო რუსი.

ამხანაგ ფიდელ კასტროს თან ახლდნენ: სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის სამდივნოს წევრი კაპიტანი ემილიო არაგონეს ნავარო, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე მაიორი სერხიო დელ ვალიე ხიმენესი, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, დასავლეთის რევოლუციური არმიის სარდალი მაიორი გილიერმო გარსია ფრიასი, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, რევოლუციური სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი მაიორი რაულ კურბელო მორალესი, ეკონომიკის მინისტრი რეხინო ბოტი ლეონი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე რაულ ლეონ ტორასი, კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესი.

ამხანაგებმა ფიდელ კასტრომ და მისმა თანმხლებმა კუბელმა ამხანაგებმა იმოგზაურეს საბჭოთა კავშირში და გაეცნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და მიღწევებს. საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვის გარდა, კუბელი სტუმრები იყვნენ მურმანსკში, ვოლგოგრადში, ტაშკენტში, სამარყანდში, ირკუტსკში, ბრატსკში, სვერდლოვსკში, ლენინგრადსა და კიევში, დაათვალიერეს მთელი რიგი დიდი სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, კულტურული, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებანი. ყველგან საბჭოთა ადამიანები გულითადად მიესალმებოდნენ გმირი კუბის წარმოგზავნილებს.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად ამხანაგი ფიდელ კასტრო ოთხი დღის განმავლობაში ისვენებდა მოსკოვის ახლოს.

ამხანაგ ფიდელ კასტროს უკრაინის სს რესპუბლიკაში თან ახლდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი; უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი; ქალაქ ვოლგოგრადში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი; ქალაქებში ირკუტსკში, ბრატსკში, სვერდლოვსკში —სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. რუდაკოვი. სსრ კავშირში მოგზაურობის დროს სტუმარს თან ახლდნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლათინური ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე ვ. ი. ბაზო�ov.

ამხანაგმა ფიდელ კასტრომ მონაწილეობა მიიღო მასობრივ მიტინგებში, რომლებიც გაიმართა მოსკოვში წითელ მოედანზე და ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. კუბის რესპუბლიკის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივნისა და რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ამხანაგ ფიდელ კასტროს ვიზიტი და მისი შეხვედრები მუშებთან, კოლმეურნეებთან, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებთან, სტუდენტებთან იყო საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობის მკაფიო დემონსტრაცია. მოსკოვში ყოფნისა და მოსკოვის მახლობლად დასვენების დროს ამხანაგი ფიდელ კასტრო შეხვდა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს და ესაუბრა მას.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბრებში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გ. ანდროპოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი რ. ი. მალინოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევი.

კუბის მხრივ საუბრებში მონაწილეობდნენ: სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის სამდივნოს წევრი კაპიტანი ემილიო არაგონეს ნავარო, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე მაიორი სერხიო დელ ვალიე ხიმენესი, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, დასავლეთის რევოლუციური არმიის სარდალი მაიორი გილიერმო გარსია ფრიასი, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, რევოლუციური სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი მაიორი რაულ კურბელო მორალესი, ეკონომიკის მინისტრი რეხინო ბოტი ლეონი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე რაულ ლეონ ტორასი, კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესი.

საუბრების დროს მოხდა აზრთა ყოველმხრივი გულახდილი გაზიარება სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე. ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ფიდელ კასტრომ განიხილეს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის აქტუალური საკითხები.

გამართული შეხვედრები და საუბრები მიმდინარეობდა გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში და ცხადყვეს ორივე მხარის შეხედულებათა ერთობა ყველა განხილულ საკითხზე.

I.

საბჭოთა კავშირის ხალხები მხურვალედ მიესალმებიან გმირ კუბელ ხალხს, რომელიც წარმატებით აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას. სახალხო დემოკრატიული ანტიიმპერიალისტური რევოლუცია კუბაში განახორციელეს კუბელმა მუშებმა და გლეხებმა თვალსაჩინო რევოლუციონერის, კუბის ეროვნული გმირის ფიდელ კასტროს მეთაურობით, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ ექსპლოატატორთა პოლიტიკური ტირანიის წინააღმდეგ, ხელიდან გამოგლიჯეს ძალაუფლება ეროვნულ ბურჟუაზიასა და უცხოეთის მონოპოლიებს და შექმნეს პირველი სოციალისტური სახელმწიფო ამერიკაში, რაც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო თანამედროვე მსოფლიო ისტორიაში.

საბჭოთა ადამიანებს ახარებს კუბელ მშრომელთა დიდი წარმატებანი სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ხალხის ინტერესებისათვის კუბაში განხორციელდა ძირეული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები. სამუდამოდ მოეღო ბოლო უცხოეთის მონოპოლიათა ბატონობას, განხორციელდა რადიკალური აგრარული რეფორმა, რომელმაც სოფლის ასეული ათასობით მშრომელი გაათავისუფლა სასტიკი ექსპლოატაციისაგან და გადასცა მიწა იმათ, ვინც მას აშუშავებს. წარმატებით იქმნება ეროვნული მრეწველობა, ხორციელდება ღონისძიებანი, რათა მოკლე ხანში აღმოიფხვრას წარსულის მძიმე მემკვიდრეობა — ეკონომიკის ცალმხრივი განვითარება.

კუბა პირველი და ერთადერთი ქვეყანაა ლათინურ ამერიკაში, რომელმაც აღმოფხვრა მოსახლეობის უწიგნურობა. ხორციელდება ინეინერ-ტექნიკოსთა, მეცნიერთა და მასწავლებელთა ეროვნული კადრების მომზადების ფართო პროგრამა.

ყველა ეს წარმატება შესაძლებელი გახდა კუბელი ხალხის უდიდესი ენთუზიაზმისა და შეკავშირების მეოხებით, რომელიც სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ ფიდელ კასტროს მეთაურობით აშენებს ახალ ცხოვრებას, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძმური სოლიდარობისა და დახმარების მეოხებით.

უფრო, ვიდრე ოდესმე, გაიზარდა კუბის რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტი, რომელიც იმ სახელმწიფოთა პირველ რიგში დგას, რომლებიც აქტიურად იცავენ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებს, მტკიცედ იბრძვიან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, კოლონიური სისტემის საბოლოო ლიკვიდაციისათვის. კუბა გახდა სიმბოლო მამაცობისა და ურყეველ ნებისა ხალხთა ბრძოლაში უცხოეთის მონოპოლიათა მძალეობის წინააღმდეგ, სრული ეროვნული განთავისუფლებისათვის, უკეთესი მომავლისათვის.

კუბის რესპუბლიკის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი და რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ამხანაგი ფიდელ კასტრო აღნიშნავს ხალხთა კავშირის მოსახლეობის უაღრესად გულთბილ, გულითად დამოკიდებულებას კუბის რესპუბლიკისადმი. კუბელი ხალხის სახელით მან გამოთქვა აღტაცება საბჭოთა ხალხის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის გამო, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამთავრა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა და აწარმოებს კომუნიზმის გაშლილ მშენებლობას.

ამხანაგმა ფიდელ კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი განამტკიცებენ მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერებას, ცხადყოფენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ძალასა და უძლეველობას, სოციალიზმის უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით, აღაფრთოვანებენ ხალხებს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ხანძძოლველად. საბჭოთა კავშირის უდიდესი გამოცდილების შემოქმედებითი გამოყენება, უანგარო დახმარება და ყოველმხრივი მხარდაჭერა, რასაც საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები უწევენ კუბას, ეხმარება კუბის მშრომელებს გადაჭრან სოციალისტური მშენებლობის ამოცანები თავიანთ ქვეყანაში.

კუბის მხარემ განსაკუთრებით აღნიშნა ის უდიდესი წვლილი, რომელიც საბჭოთა კავშირს შეაქვს ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, კოლონიური უღლისაგან ხალხთა განთავისუფლებისათვის, უველა ხალხის სოციალური პროგრესისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლის საქმეში.

II.

შეხვედრებისა და საუბრების დროს ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ფიდელ კასტრომ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირისა და კუბის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და კარიბის ზღვის რაიონის მდგომარეობის შესახებ.

მხარეები აღნიშნავენ, რომ ახალი კუბის მშენებლობა ძნელ და რთულ პირობებში ხორციელდება. ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები კუბის რევოლუციური სახელმწიფოს არსებობის პირველი დღეებიდანვე ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მოსპონ კუბელი ხალხის მონაპოვრები და კვლავ დაადგან მას იმპერიალისტური ექსპლოატაციის უღელი.

ამერიკის შეერთებული შტატები უხეშად თელავენ ფეხქვეშ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებსა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და ცდილობენ ჩაერიონ კუბის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, აწყობენ და წარმართავენ ძირგამომთხრელ საქმიანობას კუბის ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ, გზავნიან თავისუფლების კუნძულზე კონტრრევოლუციონერი ნაძირალების შეიარაღებულ ბანდებს. ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ ეკონომიური აგრესიის პოლიტიკას კუბის წინააღმდეგ, ახდენენ უპრეცედენტო ზემოქმედებას თავიანთ მოკავშირეებზე სამხედრო ბლოკებში და სხვა ქვეყნებზე, მოითხოვენ რა მათს მიმხრობას ამ პოლიტიკისადმი.

ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ კუბის რესპუბლიკის პოლიტიკური იზოლაცია, განსაკუთრებით ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხებისაგან ჩამოცილება. ამ მიზნით ისინი იყენებენ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას, ეყრდნობიან იქ სამხედრო-დიქტატორული რეჟიმების წარმომადგენლებს.

მაგრამ თავისუფლებისმოყვარე კუბა არ შედრკა არც პოლიტიკური შანტაჟისა და ეკონომიური ზეგავლენის წინაშე, არც პირდაპირი შეიარაღებული ინტერვენციის წინაშე. 1961 წლის აპრილში კუბის რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს პლაიაჰირონში გადმომსხდარი დაქირავებულთა არმია, რომელიც იყო აღჭურვილი ამერიკული სამხედრო ტექნიკით და მომზადებული სამხედრო ბანაკებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი დამქაშების ტერიტორიაზე. რევოლუციურ კუბას მაღლა ეჭირა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშა 1962 წლის ოქტომბრის მრისხანე დღეებში, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებმაც ახალი შეიარაღებული ინტერვენცია მოამზადეს კუბელი ხალხის წინააღმდეგ, თავიანთი აგრესიული მოქმედებით უაღრესად გაამწვავეს ვითარება კარიბის ზღვის რაიონში, რის შედეგად წარმოიშვა საერთაშორისო კრიზისი, რომელმაც საყოველთაო რაკეტულ-ატომური ომის ზღვარზე დააყენა მსოფლიო.

ამ უაღრესად დაძაბულ მომენტში კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის ხელმძღვანელებმა ფიდელ კასტროს მეთაურობით, მთელმა კუბელმა ხალხმა მტკიცედ გადაწყვიტეს დაეცვათ თავიანთი რევოლუციის მონაპოვარნი, კუბის ღირსება და თავისუფლება.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

მოსკოვი, კრემლი, 23 მაისი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ გადასცა ამხანაგ ფიდელ კასტრო რუსს. ფოტო ს. სმირნოვისა.

დარბაზობა კრემლში

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და ძველი ხალხის მეგობრობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ 23 მაისს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართეს კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის მდივნის, რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტრო რუსის პატივსაცემად.

კუბის რევოლუციის ბელადთან ერთად დარბაზობაზე იყვნენ კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე სერხიო დელ ვალიე ხიმენესი, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, კუბის დასავლეთის რევოლუციური არმიის სარდალი გილერმო გარსია ფრიასი, სოციალისტური რევოლუციის ერთიანი კავშირის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, კუბის რევოლუციური სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი რაულ კურბელო მორალესი, ეკონომიკის მინისტრი რეხინო ბოტი ლეონი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე რაულ ლეონ ტორასი, კუბის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესი, მაიორი რენე ვალიეხო ორტისი და სხვა კუბელი მეგობრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ლ. ფ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, მოსკოვის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირისა და ჯარების გვარეობათა მარშლები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გენერლები, ადმირალები და ოფიცრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სტუმართა შორის იყვნენ მთელი რიგი მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები.

დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ფიდელ კასტრო რუსისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

დარბაზობის მონაწილენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ ამ სასიხარულო ამბავს. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიმართა შეკრებილთ და თქვა:

ძვირფასო ამხანაგო ფიდელ! მოხარული ვარ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ყველა ჩვენგანის სახელით გულთბილად მოგილოცო, რომ თქვენ მოგენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო მაღალი წოდება. ნება მიბოძეთ გისურვოთ თქვენ ჯანმრთელობა, კუბელ ხალხს წარმატებანი დიადი საქმის — თავისუფლების კუნძულზე სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებაში.

ვსარგებლობ სასიამოვნო შემთხვევით და მინდა ერთხელ კიდევ მოგცეთ პირობა, თქვენს, ამხანაგებსა და მთელ კუბელ ხალხს, რომ ჩვენ. ისევე როგორც წინათ, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა განვამტკიცოთ საბჭოთა ხალხისა და კუბელი ხალხის მეგობრობა, რათა ეს მეგობრობა სამარადისო და ურღვევი იყოს.

ერთხელ კიდევ გილოცავთ, ძვირფასო ფიდელ, გულითადად გილოცავთ და ყოველ სიკეთეს გისურვებთ. (მქუხარე ტაში).

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ფიდელ კასტროს კიტელს მიაბნია ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის მედალი — „ოქროს ვარსკვლავი“. დარბაზში კვლავ ქუხს ოვაცია.

მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებული ფიდელ კასტრო ლაპარაკობს, და მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმის ტაში:

ამხანაგებო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებო!

ამხანაგებო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებო!

პატივცემულო სტუმრებო!

გუშინ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გაგვაცნო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება, რომ მე მაღალი ჯილდო მომენიჭა. ასეთი დიდი პატივისცემა შეიძლება მხოლოდ ჩვენი ხალხების ძმური ურთიერთობის დროს.

ამ ოქროს მედალს ვიღებ მთელი ჩვენი თავისუფალი რევოლუციური ხალხის სახელით, ლენინის ორდენის მიღება დიდი პატივია ჩვენი ქვეყნისათვის. დიდი პატივია ამ ორდენის მიღება. იმ ხალხისაგან, რომელმაც უაღრესად სახელოვანი და დაუვიწყარი ფურცლები ჩაწერა კაცობრიობის ისტორიაში.

სულითა და გულით გმადლობთ. დღეს უაღრესად მომხიბვლელ მომენტს განვიცდით და ვეცდებით ყოველთვის ვიყოთ ამ პატივისცემის ღირსი. დიდი მადლობა!

კუბელ მეგობრებს მიმართავს ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი. იგი გულითადად ულოცავს ფიდელ კასტროს მაღალ ჯილდოს და ამბობს: ფიდელ ესპანურად ერთგულს ნიშნავს. მე მოგმართავთ თქვენ, ამხანაგო ერთგულო და მინდა მხურვალედ და გულითადად მოგილოცოთ საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მონიჭება და უმაღლესი ჯილდოს — ლენინის ორდენის გადმოცემა.

თქვენი, კუბელი ხალხის გმირისა და ბელადის მკერდი ღირსია დამშვენებული იყოს ამ ორდენით, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს. ის, რაც თქვენ, ამხანაგო ფიდელ, გააკეთეთ კუბელი ხალხისათვის, სოციალიზმის საქმისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის, უდიდესი აღტაცებისა და პატივისცემის ღირსია.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სკკპ პარტიულ მუშაკთა დელეგაცია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩავიდა

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 24 მაისს მოსკოვიდან რუმინეთს გაემგზავრა რუმინეთის მუშათა პარტიის მუშაობის გამოცდილების გასაცნობად სკკპ პარტიულ მუშაკთა დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი.

ბუქარესტი, 24 მაისი. (საკდესი). რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით დღეს ბუქარესტში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი. დელეგაცია გაეცნობა რუმინეთის მუშათა პარტიის გამოცდილებას.

საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივი განცხადება

(დასასრული)

თავისი გმირული ტრადიციების ერთგული კუბელი ხალხი აღსდგა სამშობლოს დასაცავად და მზად იყო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლა უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების მტკიცე პოზიციამ რევოლუციური კუბის დაცვის საქმეში, თავდაჭერილობამ და შექმნილი ვითარების გონივრულმა გათვალისწინებამ, რაც საბჭოთა კავშირისა და კუბის პასუხისმგებელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა გამოიჩინეს, იმან, რომ კუბას მხარი დაუჭირა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფომ, აღკვეთეს თერმოატომური ომი. კუბაზე შეიარაღებული თავდასხმის უშუალო საფრთხე თავიდან იქნა აცილებული. დღეს რევოლუციური კუბა მაგალითია ურყევი მამაცობის და სიმტკიცისა დამოუკიდებლობისათვის, იმ უფლებისათვის ბრძოლაში, რომ შექმნას ახალი ცხოვრება უექსპლოატატორებოდ.

მხარეები აღნიშნავენ, რომ თუმცა კუბაში სამხედრო შეჭრის უშუალო საფრთხე აღიკვეთა, მაგრამ ჯერ კიდევ არის დაძაბულობა კარიბის ზღვის რაიონში.

ვითარების ნორმალიზაცია შეიძლება მიღწეულ იქნეს იმ ხუთი პუნქტის განხორციელების საფუძველზე, რომლებიც წამოაყენა კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ და რომლებიც შეიცავენ იმას, რომ შეწყდეს ეკონომიური ზეგავლენის ყველა ღონისძიება; ყოველგვარი ძირგამომთხრელი საქმიანობა; ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პუერტო-რიკოში მდებარე ბაზებიდან თავდასხმა; ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავებისა და გემების ყოველი შეჭრა კუბის საჰაერო სივრცისა და ტერიტორიულ წყლებში; და გუანტანამოში განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზის ევაკუაციას კუბის ტერიტორიიდან.

საბჭოთა თავრობა მთელი სიმტკიცით უჭერს მხარს ამ პრინციპებს, რადგან ისინი სავსებით შეესაბამებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ასახავენ კუბის რევოლუციური მთავრობის იმ მისწრაფებას, რომ გამონახოს მოუგვარებელი საკითხების მშვიდობიანი გადაჭრა, რომლებიც დაძაბულობას ქმნიან მსოფლიოს ამ რაიონში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა და კუბის მთავრობა ემყარებიან იმას, რომ რევოლუციური კუბა არავის არ ემუქრება.

განვითარებისა და სოციალურ გარდაქმნათა გზა, რომელიც კუბელმა ხალხმა აირჩია, მისი საშინაო საქმეა და არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს მის საქმეებში. ორივე მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ ერთგული არიან სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში სახელმწიფოთა ჩაურევლობის პრინციპისა და საქვეყნად აღიარებული, რომ სავსებით მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობისმოყვარულ პრინციპებს, მათ შორის სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპს, რადგან შეესაბამება ყველა ხალხის მშვიდობისა და მეგობრობის ინტერესებს.

კუბის მხარე აცხადებს, რომ კუბის ხალხი დიდად აფასებს მორალურ-პოლიტიკურ მხარდაჭერასა და დახმარებას, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს. სსრ კავშირის თავრობისა და მისი მეთაურის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებებმა, საბჭოთა კავშირის მიერ კუბის ინტერესების დაცვამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და სხვა საერთაშორისო ფორუმებზე, სსრ კავშირის მსაობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გამოსვლებმა კუბის მხარდასაჭერად, საბჭოთა კავშირის ეკონომიურმა და სამხედრო დახმარებამ მეტად დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კუბელი ხალხის ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, გარედან იმპერიალისტური საფრთხის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი ქმედითს დახმარებას უწევდა და უწევს კუბას მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. კუბის მთავრობის თხოვნით საბჭოთა კავშირი დიეზმარა კუბას მტკიცე, კარგად მომზადებული და თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით შეიარაღებული არმიის შექმნაში, არმიისა, რომელსაც უნარი შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს კუბის სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და თავისუფლების ხელყოფის ყოველგვარ ცდებს.

ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ფიდელ კასტროს საუბრების დროს საბჭოთა მხარემ დაადასტურა, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დაარღვევს ნაციერ ვალდებულებებს იმის შესახებ, რომ არ შეიჭრას კუბაში, და თავს დაეხმის მას, საბჭოთა კავშირი შესრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას მოძმე კუბელი ხალხის წინაშე და გაუწევს საჭირო დახმარებას, რათა დაიცვას კუბის რესპუბლიკის თავისუფლება და დამოუკიდებლობა მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით. აგრესიის ორგანიზატორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კუბაში შეჭრა კაცობრიობას დააყენებს გამანადგურებელი რაკეტულ-თერმოატომური ომის წინაშე.

მხარეებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც უკავშირდება საბჭოთა კავშირ-კუბის ვაჭრობის, ეკონომიური, ტექნიკური, მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმებათა განხორციელებას და კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ეს შეთანხმებანი წარმატებით სრულდება.

საბჭოთა კავშირი განუწყვეტლივ აფართოებს კუბის ტრადიციული ექსპორტის საქონლის შესყიდვას და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობს, რომ უზრუნველყოს კუბის გადაუდებელი მოთხოვნილებანი მოწყობილობასა და ნედლეულზე მრეწველობისათვის და საქონელზე კუბის მოსახლეობის მოსამარაგებლად.

საბჭოთა კავშირი აგრეთვე საჭირო დახმარებას უწევს კუბას იმ საქონლის ტრანსპორტირებაში, რომელსაც ყიდულობს და ყიდის.

მხარეები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმით, რომ სსრ კავშირისა და კუბის ეკონომიური თანამშრომლობა სულ უფრო ფართო და ყოველმხრივ ხასიათს იღებს. საბჭოთა კავშირი ტექნიკურ დახმარებას უწევს კუბას გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა განხორციელებაში, სამი გადასამუშავებელი მეტალურგიული ქარხნის გაფართოებასა და რეკონსტრუქციაში, დიდი თბოელექტროსადგურის მშენებლობაში, ნიკელისა და ქიმიური მრეწველობის, სამრეწველო მეთევზეობის განვითარებაში, მიწების მორწყვისა და ამოშრობის პირველი რიგის სამუშაოთა შესრულებაში. დიდი მნიშვნელობა აქვს მექანიკური ქარხნის მშენებლობას, რაც საბჭოთა კავშირის დახმარებით წარმოებს ამჟამად.

საბჭოთა კავშირი დახმარებას უწევს კუბის რესპუბლიკას ეროვნული კადრების მომზადებაში იმ გზით, რომ სსრ კავშირში ასწავლის კუბელ მოქალაქეებს და აწყობს სასწავლო ცენტრებს კუბაში.

წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირისა და კუბის ორგანიზაციათა და დაწესებულებათა თანამშრომლობა კულტურის, მეცნიერების, განთლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის დარგში.

მოლაპარაკების დროს მიღწეულია შეთანხმება სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ეკონომიური, სავაჭრო და მეცნიერულ-კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

ხელმძღვანელობს რა მისწრაფებით ხელი შეუწყოს მოძმე კუბის სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცებას და ითვალისწინებს რა, რომ უკანასკნელ ხანს მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაიზარდა შაქრის ნედლეულის ფასები, საბჭოთა მთავრობამ საკუთარი ინიციატივით წამოაყენა, წინადადება, რომ შეიცვალოს არსებული შეთანხმება და გადიდდეს 1963 წელს შესასყიდი კუბური შაქრის ნედლეულის ფასი, რათა ეს ფასი შეესაბამებოდეს მსოფლიო ფასების დონეს. ამასთან საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებდა, რომ შაქრის წარმოება კუბის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი დარგია და რომ შაქრის ფასების გადიდება ეფექტიან როლს შეასრულებს კუბის რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცებაში.

საბჭოთა მთავრობის ეს წინადადება მიიღო კუბის მხარემ.

III.

აზრთა გაზიარებამ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვსა და ფიდელ კასტროს შორის დაადასტურა, რომ ორივე მხარე ერთიანია ახლანდელი საერთაშორისო ვითარების შეფასებაში და საერთო პოზიციებს ადგენან მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ეპოქა, რომლის მთავარ შინაარსს შეადგენს გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაიწყო, არის ორი დაპირისპირებული საზოგადოებრივი სისტემის ეპოქა, სოციალისტურ რევოლუციათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციათა ეპოქა, იმპერიალიზმის ნგრევის, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სულ ახალი და ახალი ხალხების სოციალიზმის გზაზე დადგომის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების ეპოქა. მსოფლიო განვითარების მთელმა მსვლელობამ უკანასკნელი წლების მანძილზე სავსებით დაადასტურა, რომ ჩვენი ეპოქის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა გადაიქცევა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად. მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების ზრდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის წარმატებანი ამცირებენ იმპერიალიზმის იმ შესაძლებლობებს, რომ გავლენა მოახდინოს ისტორიული პროცესის მსვლელობაზე.

შემდგომ ღრმავდება კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, მწვავდება მთელი მისი წინააღმდეგობანი. შეიცვალა ძალთა განლაგება იმპერიალისტური ბანაკის შიგნით. იმპერიალიზმის ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და სამხედრო ცენტრებმა ევროპიდან გადაინაცვლეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლებიც ახლა მსოფლიო რეაქციის მთავარი დასაყრდენია. იყენებენ რა სამხედრო ბლოკებს, დახშულ ეკონომიურ და პოლიტიკურ ჯგუფებათა პოლიტიკას, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ ჩაახშონ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, თავიანთ ბატონობას დაუქვემდებარონ სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები. ეს აღრმავებს არსებულ იმპერიალისტურ მეტოქეობასა და კონფლიქტებს და წარმოშობს მათ ახალ კვანძებს.

იმპერიალიზმის ანტიხალხური მტაცებლური არსი არ შეცვლილა. მაშასადამე არსებობს საფრთხე, რომ იგი ატეხს მსოფლიო ომს. მაგრამ ამასთანავე იმპერიალიზმმა არ შეიძლება არ გაითვალისწინოს, რომ, თუ იგი გაბედავს დაიწყოს მსოფლიო თერმოატომური ომი, მოსპობის საფრთხეს შეუქმნის თავის თავს.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის საფუძველი და მათი გამარჯვების საწინდარია ურთიერთკავშირი და მოქმედების ერთობა თანამედროვეობის მთელი დიადი რევოლუციური ძალებისა — ხალხებისა, რომლებიც სოციალიზმსა და კომუნიზმს აშენებენ, საერთაშორისო რევოლუციური მუშათა მოძრაობისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, მთელი ძალებისა, რომლებიც მშვიდობისა და პროგრესის საქმისათვის იბრძვიან.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარება ხელს უწყობს ხალხთა რევოლუციურ ბრძოლას. წლითი წლობით იზრდება და მტკიცდება მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძლიერება. ძლიერდება კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ბრძოლა მონოპოლიათა წინააღმდეგ, ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ფაშისტური და სხვა ტირანული რეჟიმების დამხობისათვის, სოციალური პროგრესისათვის. სულ უფრო ფართოვდება გლეხთა მოძრაობა, ბრძოლა აგრარული რეფორმებისა და ფეოდალებისა და მონოპოლიების ბატონობის ლიკვიდაციისათვის, რომლებიც გლეხთა მასებს ძარცვავენ. მძლავრი გაქანება ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და ყველა მათი ფორმის სრული ლიკვიდაციისათვის სულ უფრო ხშირად ამარცხებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და მათ კოალიციებს. ყოველივე ეს ჩვენს დროში ერთიანდება მსოფლიო რევოლუციურ ნაკადად, რომელიც ძირს უთხრის და ანგრევს კაპიტალიზმს.

კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებიც ეროვნული ინტერესების ნამდვილი გამომხატველი და დამცველი არიან, ერების გავლენიან ძალად დგადიქცნენ. მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ ყველა მშრომელის, მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ ბრძოლის დიად საქმეში, რომ თანამედროვეობის ძირეული პრობლემები გადაჭრან მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის. ამ პარტიათა გარშემო ერთიანდებიან ხალხთა უფართოესი მასები.

მხარეები სრული ერთსულოვნებით აღნიშნავენ, რომ ახლანდელ პირობებში მშვიდობისათვის ბრძოლა კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, და მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მოვალეობაა არ დაუშვან ის, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიულმა წრეებმა ატეხონ რაკეტულ-ატომური ომი, რომელსაც უმძიმესი შედეგები მოჰყვება კაცობრიობისათვის. მსოფლიო ომის ფატალური გარდუვალობა ჩვენს დროში არ არის. სოციალიზმის ძალების სულ უფრო მზარდი უპირატესობა იმპერიალიზმის ძალებთან შედარებით, მშვიდობის ძალებისა ომის ძალებთან შედარებით საშუალებას გვაძლევს მსოფლიო თერმოატომური კონფლიქტის თავიდან აცილება მივიჩნიოთ სავსებით რეალურ ამოცანად, რომლის გადაჭრაც ძალუძთ ხალხებს.

საბჭოთა მხარე და კუბის მხარე კვლავ ადასტურებენ, რომ დაუცხრომლად იბრძოლებენ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის გამარჯვებისათვის. სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა არსებობის პირობებში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები საერთაშორისო საქმეთა წარმართვის ერთადერთი სწორი და გონივრული საფუძველია. ისინი სავსებით შეესაბამებიან ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, ემსახურებიან ყველა სახელმწიფოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეს და იცავენ ხალხთა წმიდათა წმიდა უფლებას დამოუკიდებლად გადაჭრან თავიანთი ბედი.

შშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას იმპერიალისტური სახელმწიფოები უპირისპირებენ „ძალის პოზიციის“ ავანტიურისტულ პოლიტიკას. ისინი აძლიერებენ გამალებულ ატომურ შეიარაღებას, აფართოებენ თავიანთი აგრესიული სამხედრო ბლოკების საქმიანობას და თანდათან მიჰყავთ მსოფლიო ომის კატასტროფის უფსკრულისაკენ. სწორედ ამას ისახავს მიზნად ნატოს ატომური ძალების შექმნის გეგმები, რასაც დასავლეთის სახელმწიფოები აფუშავებენ, და რაც იწვევს ატომური იარაღის გავრცელებას დედამიწის ახალ რაიონებში და საშუალებას აძლევს დასავლეთგერმანელ მილიტარისტებსა და რევანშისტებს ხელთ იგდონ ატომური იარაღი.

საბჭოთა კავშირსა და კუბას მიაჩნიათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების ეს მოქმედება, რომელიც ამწვავებს საერთაშორისო დაძაბულობას, მოითხოვს, რომ მშვიდობისმოყვარულმა ძალებმა გაადიდონ სიფხიზლე და გააძლიერონ ბრძოლა იმისათვის, რომ მშვიდობიანი გზით გადაიჭრას უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემები.

ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ფიდელ კასტროს საჭიროდ მიაჩნიათ ხაზგასმით აღნიშნონ, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის განხორციელებას თერმოატომური ომის თავიდან აცილებისა და საიმედო მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ამ პროგრამის განხორციელების შედეგად მოისპობა სახელმწიფოთა შორის ომის წარმოების შესაძლებლობა, ხოლო განთავისუფლებული უზარმაზარი მატერიალური რესურსები გამოყენებულ იქნება მსოფლიოს ყველა ქვეყნის, მათ შორის ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

მხარეები აღნიშნავენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც სიტყვით ეთანხმებიან საყოველთაო და სრული განიარაღების იდეას, საქმით იკავებენ პოზიციას, რომელიც ხელს უშლის შეთანხმებას ამ იდეის განხორციელების შესახებ.

კუბელი ხალხი მიესალმება და მხარს უჭერს ღონისძიებებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს განიარაღების პრობლემის გადაჭრისათვის ბრძოლაში. საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების პროექტი, რომელიც სსრ კავშირის მთავრობამ წამოაყენა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კონკრეტული ღონისძიებანი და კონსტრუქციული წინადადებანი განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილს აკმაყოფილებს, რეალურ საფუძველს ქმნიან იმისათვის რომ დადგეს შეთანხმება, რომელსაც მოითხოვს ყველა ხალხი.

საბჭოთა კავშირი და კუბის რესპუბლიკა აცხადებენ, რომ ისინი კვლავაც არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა მოაშორონ ხალხებს გამალებული შეიარაღების მძიმე და საშიში ტვირთი.

საბჭოთა კავშირი და კუბა აღნიშნავენ, რომ მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია აბრკოლებს ახლა იმ საკითხის გადაჭრას, რომ ყველგან შეწყდეს ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდა. კუბის რესპუბლიკა მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კონსტრუქციულ წინადადებებს ამ საკითხზე.

აზრთა გაზიარების დროს ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოაყალიბა საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემაზე. საბჭოთა მხარემ შეაფასა გამოთქვა იმის გამო, რომ კვლავ არ არის დადებული გერმანიის საზავო ხელშეკრულება, რაც არყევს მშვიდობის საფუძვლებს და დამატებით ართულებს ბევრი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრას. სანამ დადებითად არ გადაიჭრება გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის საკითხები, არ შეიძლება მოველოდეთ, რომ საიმედოდ უზრუნველყოფილ იქნება მშვიდობა და განსაკუთრებით ევროპის მშვიდობა.

კუბის მხარემ განაცხადა, რომ იზიარებს საბჭოთა მთავრობის პოზიციას გერმანიის საკითხში, და გამოთქვა რწმენა, რომ გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების რაც შეიძლება მალე განხორციელება საჭიროა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირი და კუბის რესპუბლიკა გადაჭრით გმობენ კოლონიალიზმს და შეუწყნარებლად მიაჩნიათ ისეთი მდგომარეობა, როცა აფრიკის კონტინენტზე, აზიასა და ლათინურ ამერიკაში ჯერ კიდევ არის ათობით კოლონიური ტერიტორია და დამოკიდებული ქვეყანა, რომელთა მოსახლეობა უმკაცრესი ექსპლოატაციისა და უუფლებობის პირობებში ცხოვრობს. კოლონიზატორები, რომლებიც იყენებენ აგრესიულ სამხედრო ბლოკებს — ნატოს, სეატოსა და სხვა ბლოკებს, არ ერიდებიან არაფერს იმისათვის, რომ შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა განთავისუფლებული ქვეყნების ეკონომიკაში და გავლენა მოახდინონ მათ პოლიტიკაზე. ასეთი პოლიტიკის მაგალითია „პროგრესისათვის კავშირის“ პროგრამა, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წამოაყენეს და რომელიც შირმაა იმისათვის, რომ კვლავ ძარცვონ ლათინური ამერიკის ხალხები.

მხარეები აღნიშნავენ, რომ ჰავანის დეკლარაციებს ისტორიული მნიშვნელობა აქვს ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის და სწორად ასახავენ მოვლენათა მსვლელობას.

საბჭოთა კავშირი და კუბის რესპუბლიკა უთუოდ უცხადებენ სოლიდარობას და უჭერენ მხარს ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობის, პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და კოლონიალიზმის მძიმე შედეგების ლიკვიდაციისათვის.

მხარეები გადაჭრით აღნიშნავენ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ და მთლიანად შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, და მიაჩნიათ, რომ კოლონიალიზმის ყველა ფორმისა და გამოვლინების უსწრაფესი და საბოლოო ლიკვიდაციისათვის ბრძოლა მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების გადაუდებელი ამოცანაა.

ორივე მხარე გადაჭრით ილაშქრებს რეაქციული ძალების ძირგამომთხრელი მოქმედების წინააღმდეგ ლაოსში, რომლებსაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები. იმპერიალისტური ძალების მიერ ინსპირირებული ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება ჟენევის შეთანხმებებს ლაოსის შესახებ და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას ამ რაიონში. მხარეები აცხადებენ, რომ მტკიცედ უჭერენ მხარს დამოუკიდებელ, მშვიდობისმოყვარე და ნეიტრალურ ლაოსს.

მხარეები გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ აგრესიას ვიეტნამის სამხრეთ ნაწილში, სადაც ამერიკის ჯარები იყენებენ ყველაზე ბარბაროსულ საშუალებებს და „გამოუცხადებელ ომს“ აწარმოებენ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. მხარეები მტკიცედ მოითხოვენ შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების უხეში და აშკარა ჩარევა და სრულად განხორციელდეს ჟენევის შეთანხმებანი ვიეტნამის გაერთიანების შესახებ. საბჭოთა კავშირისა და კუბის ხალხები სრულ სოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას უცხოელთა ინტერვენციის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, და მხარს უჭერს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სამართლიან მოთხოვნას, რომ უცხოეთის ყველა ჯარი გაიყვანონ სამხრეთ კორეიდან. საბჭოთა კავშირი და კუბა დარწმუნებული არიან, რომ კორეელი ხალხი საბოლოოდ გაიმარჯვებს თავის სამართლიან ბრძოლაში კორეის გაერთიანებისათვის.

ორივე მხარემ აღნიშნა, რომ საჭიროა უაღრესად ფართოდ განვითარდეს საერთაშორისო ვაჭრობა და ეკონომიური თანამშრომლობა თანაზიარობის, თანასწორუფლებიანობისა და სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის საფუძველზე. მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ თავისუფალი, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების, სახელმწიფოთა შორის ნდობისა და ურთიერთგაგების განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

იმპერიალისტური სახელმწიფოები, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, საგარეო ვაჭრობის დარგში ახორციელებენ უხეში დისკრიმინაციის, დახშული ეკონომიური დაჯგუფებების შექმნისა და სხვა ქვეყნებისათვის იმ უსამართლო პირობების თავს მოხვევის პოლიტიკას, რომლებიც ნაკარნახევია მონოპოლიათა ინტერესებითა და გამალებული შეიარაღების გეგმებით. ასეთი პოლიტიკა ლათინური ამერიკის, აფრიკისა და აზიის ბევრი ქვეყნის მიმართ იწვევს არაეკვივალენტურ გაცვლას და ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ უცხოეთის მონოპოლიები აშკარად იტაცებენ ამ ქვეყნების ეროვნულ რესურსებს. მსოფლიო ვაჭრობის დეზორგანიზაციის კურსი ეწინააღმდეგება ხალხებს, მთელ მორის თვით კაპიტალისტური ქვეყნების ხალხების ინტერესებს და ქმნის დამატებით სიძნელეებს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის.

მხარეები უჭერენ მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიის გადაწყვეტილებას ვაჭრობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს მსოფლიოს ყველა რაიონისა და ქვეყნის მსოფლიო ვაჭრობის ნორმალიზაციას ისე, რომ არ იყოს რაიმე ხელოვნური ბარიერები და დისკრიმინაცია, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპების საფუძველზე. ორივე მხარე ყოველ ღონეს იხმარს, რათა ამ საერთაშორისო კონფერენციამ წარმატებით შეასრულოს მის წინაშე დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანები.

საბჭოთა კავშირსა და კუბის რესპუბლიკას მიაჩნიათ, რომ ბოლო უნდა მოეღოს იმპერიალისტების უხეშ თვითნებობას, რომლებიც ხელს უშლიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ამ დიდი ხანია მომწიფებული საკითხის გადაჭრას რომ ეწინააღმდეგებიან, იმპერიალისტური სახელმწიფოები, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, დიდ ზიანს აყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტსა და პრესტიჟს, აძნელებენ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემათა გადაჭრას. ორივე მხარე აცხადებს, რომ კვლავაც იბრძოლებს, რათა დაუყოვნებლივ აღდგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

IV.

სსრ კავშირში ამხანაგ ფიდელ კასტროსა და მის თანმხლებ პირთა ყოფნის დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნულმა ხელმძღვანელობამ ფართოდ გაუზიარეს ერთმანეთს აზრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის პარტიული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალური პრობლემების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ძმურად მიესალმება კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიან პარტიას, რომელიც აერთიანებს თავისი ქვეყნის მოწინავე, რევოლუციურ ძალებს და რომელიც გაბდა მშრომელთა მასების ხელმძღვანელი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. იგი განაგრძობს და აღრმავებს რევოლუციური მოძრაობის სახელოვან ტრადიციებს კუბაში და რაზმავს მთელ მშრომელ ხალხს რევოლუციის მონაპოვართა გმირული დაცვისა და თავდადებული შრომისათვის და მიუძღვის კუბელ ხალხს წინ ნათელი სოციალისტური მომავლისაკენ.

მხარეები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ძმური პარტიული ურთიერთობა მტკიცდება და ვითარდება, მოაქვს თავისი საგრძნობი შედეგები, ამდიდრებს ორივე პარტიას პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის გამოცდილებით, აქტიურად უწყობს ხელს სსრ კავშირისა და კუბის ხალხთა წინსვლას სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ურთიერთობა ემყარება პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ძმური სოლიდარობის, პარტიების თანასწორობის ურყევ პრინციპებს, მეგობრობისა და ამხანაგობის მაღალ გრძნობებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სოციალისტური რევოლუციის ერთიან პარტიას განზრახული აქვთ კვლავაც გაუცვალონ ერთმანეთს პარტიულ მუშაკთა დელეგაციები და ჯგუფები, აგრეთვე ურთიერთსაინტერესო ინფორმაცია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტია ფრიად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების საფუძველზე.

ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტიის ერთიანობას საფუძვლად უდევს ინტერესების, მიზნებისა და იდეალების ერთობა, მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულება. ამ ერთობის ყოველგვარი შესუსტება ხელსაყრელი იქნებოდა კომუნიზმის უბოროტესი მტრებისათვის — იმპერიალისტებისა და ყოველი ჯურის რეაქციონერებისათვის. ამ ერთობის დარღვევა შეახსუსტებდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმისაგან ხალხთა ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის ფრონტს. იმპერიალიზმის, ავტორიტარული ძალების ალაგმვაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს დიდი სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის შეკავშირებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური — პარტია და სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტია ძმურ ოჯახად ხედავენ და ერთმანეთს აღიარებენ ერთ-ერთ ძმურ სოლიდარობისათვის. ისინი განუხრელად განახორციელებენ ლენინურ პრინციპებს კომუნისტური და მუშათა პარტიების ურთიერთობაში.

ორივე პარტია ურყევად დგას პოზიციებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია კომპარტიების მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების დეკლარაციასა და განცხადებაში, და აგებენ თავიანთ პოლიტიკას, თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობას ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების შესაბამისად.

ორივე პარტია თავის პოლიტიკაში ემყარება იმას, რომ ჩვენი ეპოქის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, რომელსაც დასაბამი მისცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. ეს გარდაუვალი ისტორიული პროცესი, რომელიც ძირითადად საერთოა ყველა ქვეყნისათვის საზოგადოებრივ-ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების

დარბაზობა კრემლში

(დასასრული)

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვამაყობთ კუბელი ხალხის წარმატებებით, მისი გმირობითა და მამაცობით. გისურვებთ, ამხანაგო ფიდელ, თქვენ და გმირ კუბელ ხალხს კიდევ უფრო დიდ წარმატებებს სოციალისტური კუბის მშენებლობაში.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა საბჭოთა ხალხისა და კუბელი ხალხის მეგობრობისა და ძმობის, კუბის რესპუბლიკის წარმატებების, კუბელი ხალხის ბელადის ფიდელ კასტროს სადღეგრძელო.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს და სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე ტაში.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა ფიდელ კასტროს გადასცა სუვენირი — პირი ალმისა, რომელიც საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მიიტანა მთვარეზე.

გამოვიდა ამხანაგი ფიდელ კასტრო. მან თქვა:

— მინდა მადლობა გადავუხადო ყველა თქვენგანს ამ გულითადი მიღებისათვის. ჩვენ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით მიგვიღეს, შესაძლებლობა გვქონდა გაგვეცნო ქვეყნის ცხოვრება და საქმეები. არ შეიძლება, რომ ყველამ, ვისაც უნდა ობიექტურად შეხედოს ვითარებას, არ დაინახოს საბჭოთა ხალხის თვალსაჩინო დამსახურება, საბჭოთა კავშირის არაჩვეულებრივად სწრაფი ზრდა და პროგრესი.

მე ყოველთვის ვფიქრობ თქვენი ხალხის არაჩვეულებრივ დამსახურებაზე. ეს შესანიშნავი ხალხია, იგი გაიზარდა 45 წელიწადში მკაცრი ბრძოლის პირობებში. ჩვენ ვიცით, თუ რა არის რევოლუციური ბრძოლა. თვითონ ვაწარმოებდით ამ ბრძოლას რამდენიმე წელს. და კარგად შეგვიძლია შევაფასოთ უდიდესი პროგრესი, რომელსაც საბჭოთა საზოგადოებამ მიაღწია.

ჩვენი ხალხი, რომელმაც ახლახან დაიწყო თავისუფალი ცხოვრება, განსაკუთრებით აფასებს მსოფლიოს ახალანდელ ვითარებას, როცა პატარა, სუსტად განვითარებულ ხალხებს ნამდვილი, უანგარო მეგობრები ყავთ. ეს მეგობრები გვეხმარებიან, გვეპყრობიან როგორც თანასწორთა, დიდი პატივისცემითა და ღირსულად გვხვდებიან. ეს გარემოება მეტად ძვირფასია ყველა ხალხისათვის, რომლებიც რევოლუციური განვითარების პირველ ეტაპზე არიან ჩვენსავით. ჩვენ ვიცით, თუ რა მოუვიდოდა ჩვენს ქვეყანას, მსოფლიოში რომ ასეთი ვითარება არ იყოს. ჩვენ მოგვიხდებოდა გვეომნა! ჩვენ წინ მივდიოდით და კვლავაც წინ ვივლით.

მტრებს ჰგონიათ, რომ ჩვენი რევოლუცია დამარცხდება, რომ კუბა ვერ დაძლევს ეკონომიურ სიძნელეებს; ისინი ფიქრობენ კონტრრევოლუციის გრანდიოზულ გეგმებზე, მაგრამ ნამდვილად ამ გეგმებზე ფიქრში ჩაბერდებიან.

ჩვენ კარგი ურთიერთობა გვსურს ყველა ქვეყანასთან, გვინდა მშვიდობიანად ვიცხოვროთ ყველასთან. ეს არის ჩვენი პოლიტიკა.

მე ვადღეგრძელებ დამსწრეთ, გაუმარჯოს ჩვენს სამარადისო მეგობრობას.

* * *

დარბაზობამ ძმურ, განსაკუთრებით გულითად ვითარებაში ჩაიარა.

მ. გერასიმოვი,
ნ. ჩიგირი,
ს. ფიუკოვი

(საკდესის სპეც. კორ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მოვიწიოთ მეჯი კარჯოფილი!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას მაღალხარისხოვანი კარტოფილით ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესახებ ფართოდ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონეს ახალციხისა და თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოთა კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ინიციატივა, რომლებიც გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას და იკისრეს ვალდებულება მნიშვნელოვნად გაზარდონ კარტოფილის წარმოება და 1963 წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ:

ახალციხის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა — 6 ათასი ტონა და თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა — 16,2 ათასი ტონა კარტოფილი, მათ შორის კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა — შესაბამისად 500 ტონა და 4 ათასი ტონა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტიულ კომიტეტებს, იმ სამმართველოთა სოფლის პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც კარტოფილს აწარმოებენ, ფართოდ განიხილონ ახალციხის საწარმოო სამმართველოს მიმართვა და თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოს სოციალისტური ვალდებულებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კრებებზე, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი ამ მნიშვნელოვან თაოსნობას და დასაზონ მაღალხარისხოვანი კარტოფილის წარმოების მკვეთრი გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ღონისძიებანი.

რესპუბლიკურ და საოლქო გაზეთებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, სარაიონთაშორისო გაზეთებს დაევალათ ფართოდ გააშუქონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება კარტოფილის წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დაარსების ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით და ხანგრძლივი საინჟინრო მოღვაწეობისათვის, აგრეთვე თვალსაჩინო რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომელთა დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მოგვცა მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:

1. **გრძელიშვილს** იური ალექსანდრეს-ძეს — ქარხნის მთავარ ინჟინერს,
2. **ეგორაშვილს** მიხეილ აფანასეს-ძეს — პენსიონერს,
3. **კაკიტელაშვილს** ილია იაკობის-ძეს — ქარხნის საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსს,
4. **მელიქ-ფაშაევს** სურენ ქრისტეფორეს-ძეს — ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს,
5. **რამიშვილს** ივანე ნოეს-ძეს — ქარხნის სამშენებლო-სამონტაჟო საამქროს უფროსს,
6. **ხანაძეს** მოთა სევერიანეს-ძეს — ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილეს,
7. **შანიძეს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს — პენსიონერს,
8. **შენგელიას** მიხეილ დავითის-ძეს — ქარხნის სახარატო საამქროს უფროსს,
9. **ხიდაშელს** თამარ იაკობის ასულს — ქარხნის ქიმიური ლაბორატორიის უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორისა:

1. **იოსებაშვილს** იასონ სამსონის-ძეს — ქარხნის ენერგოძალთა საამქროს ელექტრო-მექანიკოსს,
2. **კაჭკაჭიშვილს** გრიგოლ არტემის-ძეს — საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილეს,
3. **კბილაძეს** მიხეილ ალექსის-ძეს — ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს,
4. **მალიავსკის** ნიკოლოზ ივანეს-ძეს — ქარხნის საამსხმელო საამქროს უფროს ოსტატს,
5. **რთველაძეს** ვიქტორ ალექსანდრეს-ძეს — ქარხნის საამსხმელო საამქროს უფროსს,
6. **შლაპაკს** მიხეილ მიხეილის-ძეს — ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი.
1963 წლის 24 მაისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დაარსების ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **გიგინეიშვილი** ვლასი პავლეს-ძე — ქარხნის საორთქლმავლო საამქროს ბენზინალი,
2. **ზადიკაშვილი** სპირიდონ ზაქარიას-ძე — ქარხნის სავაგონო-სამგზავრო საამქროს დურგალი,
3. **თოხაძე** სერაფიონ იოსების-ძე — ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი,
4. **მაცაბერიძე** გაბრიელ ეგგენის-ძე — ქარხნის უფროსი,
5. **ეგგლოვი** ალექსანდრე ივანეს-ძე — პენსიონერი,
6. **ცომაია** გრიგოლ ნიკოლოზის-ძე — ქარხნის საბინაო-კომუნალური განყოფილების უფროსი,
7. **შავიძე** ივანე ვიქტორის-ძე — ქარხნის განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი. 1963 წლის 24 მაისი.

მარგანეცი ივნისის ანგარიშში

ჭიათურა. (საკ. კორ.). გამართულად მუშაობს ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც ოთხ თვეში ხუთი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

დამყვანი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ღარიბი მადნების გამდიდრებით პირველხარისხოვან მარგანეცს იძლევა, ივნისის ანგარიშში ათასობით ტონა მარგანეცი გამოუშვა.

ჯ. კენედი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 24 მაისი. (აკდესი). ძირს რასიზმი! გაათავისუფლეთ თავისუფლების რეისის მონაწილენი! ხელები მოხა კუბისაგან! გამოიყვანეთ ამერიკის ჯარები გუანტანამოდან! გამოიყვანეთ ამერიკის ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან! საჭიროა ბრძოლა უმუშევრობის და არა სამხრეთ ვიეტნამის ხალხია წინააღმდეგ! ასეთი ლოზუნგებით შეხვდნენ ნიუ-იორკელები გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კენედის, რომელიც ნიუ-იორკში ჩამოვიდა.

კენედი ნიუ-იორკში ჩამოვიდა იმ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა ძეგლია გახსნაზე, რომლებიც დასავლეთ ატლანტიკის რაიონში დაიღუნენ მეორე მსოფლიო ომის დროს.

საღამოს კენედი სადილად მივიდა სასტუმრო „უოლდორფ ასტორიაში", რომელიც მის პატივისცემად გამართა ნიუ-იორკის „საპრეზიდენტო კლუბმა". დაახლოებით ექვსსამა სტუმარმა პრეზიდენტთან სადილობის უფლებისათვის ულ ცოტა ათას-ათასი დოლარი გადაიხადა. ფული დემოკრატიული პარტიის ფონდს გადაეცემა.

... დიდი ხანია ნიუ-იორკს არ უნახავს ერთად თავმოყრილი ამდენი პოლიციელი. სასტუმროს გარშემო ქეიჩები პრეზიდენტის კორტეჟის მოსვლამდე ბევრად ადრე ალყაშემორტყმული იყო ქვეითი და ცხენოსანი პოლიციის კორდონებით. იმ დროს, როცა „კადილაკებს", „როლს როიაუსს" და „კოიაილერებს" ათოლა სტუმრები მოჰყავდათ „უოლდორფ ასტორიაში", სასტუმროა გარშემო პიკეტთა რკალი შეიქმნა, რომლის მონაწილენი მოვიდნენ, რათა შორიდან მაინც მოეკრათ თვალი პრეზიდენტისათვის და თავიანთი მოთხოვნები გაეცნოთ. დემონსტრანტები, რომლებიც პოლიციელებმა კედლებთან მირეკეს, გაიძახოდნენ: „ბირმინჰემი", „ხელები შორს კუბისაგან", „ფიდელ, ფიდელ"...

ჯავშნიანმა, ტყვიაშეუღწევ მინებიანმა „ლინკოლნმა" პრეზიდენტი მთავარ შესასვლელთან კი არ მიიყვანა, არამედ პოლიციელებით ალყაშემორტყმულ სასტუმროს შიგა გარაჟში შეიყვანა, საიდანაც კენედი ცალკე ასანსვლელით პირდაპირ სასტუმროში ავიდა.

მდგომარეობა თურქეთში

ანკარა, 24 მაისი. (საკდესი). გუშინ ანკარაში დაკრძალეს თურქეთის არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც დაიღუპნენ 20 მაისს ღამით მომხდარი ამბების დროს. მთავრობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ისინი დაკრძალეს თურქეთის რესპუბლიკის შემქმნელის ათათურქის მავზოლეუმში, რაც იყო ყველაზე დიდი პატივისცემის გამოხატულება.

პატივს სცემენ რა დაღუპულთ, ხელისუფალნი მეორე მხრივ განაგრძობენ ღონიშნული ამბების მონაწილეთა დაპატიმრებას. როგორც გაზეთი „ადალეთი" წერს, უკვე დაპატიმრებულია დაახლოებით ორასი კაცი, მათ შორის ზოგიერთი პირი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ 1962 წლის 22 თებერვლის ამბებში, როცა ტ. იიდემირი პირველად შეეცადა სამხედრო გადატრიალება მოეხდინა ანკარაში, და „ეროვნული ერთობის კომიტეტის" ყოფილი წევრები თურქეთში, ოტგადი, ბაიკალი და ოკუნლუ. გაზეთი ამტკიცებს, რომ ამასწინანდელი ამბების მონაწილეები მიეცემიან სამართალში.

არგენტინის ახალი მთავრობა

ბუენოს-აირესი, 24 მაისი. (საკდესი). არგენტინაში დამთავრდა მთავრობის კრიზისი, რომელიც ორ კვირას გრძელდებოდა. შეიქმნა პრეზიდენტ გიდოს ახალი მთავრობა. სგარეთ საქმეთა მინისტრად დანიშნა გენერალი ხუან კარლოს კორდინი, ეკონომიკის მინისტრის პოსტი დაიკავა მარტინეს დე ოსმა.

სუკარნო დაინიშნა სამუდამო პრეზიდენტად

ჯაკარტა, 23 მაისი. (საკდესი). გუშინ ბანდუნგში მუშაობა დაამთავრა დროებითი სახალხო საკონსულტაციო კონგრესის მეორე სესიამ, რომელიც 15 მაისს გაიხსნა. სესიამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია ინდონეზიის დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო პრობლემებზე.

კონგრესმა ამ სესიაზე სუკარნო დანიშნა საბუდამო პრეზიდენტად.

კვლავ ატომური აფეთქება

ვაშინგტონი, 23 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, რომ დღეს ატომურ პოლიგონზე ნევადის შტატში კვლავ განხორციელდა საშუალო სიმძლავრის მიწისქვეშა ატომური აფეთქება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ აფეთქებია სიმძლავრე 20 კილოტონზე მეტია, მაგრამ ერთ მეტაგონზე ნაკლებია.

ქალაქის ჯურღმულებში

ნიუ-იორკი, 24 მაისი. (საკდესი). გაზეთმა „ჩიკაგო დეილი ნიუსმა" გამოაქვეყნა რუკა, რომელზეც აღნიშნულია ქალაქის ჯურღმულების რაიონები. ეს ჯურღმულები რამდენიმე მილზეა გადაჭიმული ჩიკაგოს ჩრდილოეთით მდებარე ლინკოლნის პარკიდან, სამხრეთით მდებარე მარკეტის გზამდე.

გაზეთი აქვეყნებს სტატიას ჩიკაგოს ჯურღმულების ბინადართა შესახებ და აღიარებს, რომ „ქალაქის ამ ნაწილის ცხოვრების ფაქტები შემაშფოთებელი და შემაცბუნებელია".

გაზეთს მოჰყავს ჩიკაგოს მერის რიჩარდ დეილის გამონათქვამი, რომელმაც ჯურღმულებს „ქალაქის უმნიშვნელოვანესი პრობლემა" უწოდა.

კუბელი ხალხის დამსახურების აღიარება

ჰავანა, 24 მაისი. საკდესის კორესპონდენტი მ. ბუზიესკი იტყობინებდა:

ცნობა იმის შესახებ, რომ კუბის რევოლუციის პრემიერ-მინისტრს ფიდელ კასტროს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, სწრაფად მოედო მთელ თავისუფლების კუნძულს. ეს, ამბობენ კუბელები, სასიხარულო ამბავია მთელი ჩვენი ხალხისათვის. ეს კვლავ და კვლავ გამოხატავს საბჭოთა ხალხის გულწრფელ მეგობრობასა და სიყვარულს ჩვენი ბელადისადმი და მთელი კუბელი ხალხისადმი.

კუბის მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა კავშირის პრეზიდენტმა თვალსაჩინო კუბელმა პოეტმა ნიკოლას გილიენმა, გამოხატა რა კუბელი ხალხის აზრი, ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „მე, როგორც კუბელი, მეტად გამახარა იმ ცნობამ, რომ დიდი პატივი დასდეს ჩვენს ბელადს ფიდელ კასტროს, მიანიჭეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ეს ჯილდო აღიარებაა კუბელი ხალხის დამსახურებისა თავისუფლებისათვის ბრძოლაში, იმ გმირული ბრძოლისა, რასაც კუბელი ხალხი ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით ეწევა ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს ჯილდო სსრ კავშირისა და კუბის მთავრობათა და ხალხთა ურღვევი მეგობრობის ახალი დადასტურებაა".

კუბელი ხალხი ულოცავს თავის ბელადს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდების მინიჭებას.

ტელეგრამა გვატყობინებს

☐ **იმასთან** დაკავშირებით, რომ ბულგარეთში დღესასწაულობენ სლავური დამწერლობისა და კულტურის შექმნის 1100 წლისთავს, ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმმა საპატიო წოდებები მიანიჭა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების 125 მოღვაწეს. განათლებისა და კულტურის 1.494 მუშაკი დაჯილდოვეს კირილესა და მეთოდეს ორდენით.

☐ **კოლუმბიის** მთავრობამ საალყო წესები გამოაცხადა კოლუმბიის ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობის უდიდეს ცენტრში ქალაქ ბარანკა-ბერმეხაში. ეს ღონისძიება გამოწვეულია მთავრობის მისწრაფებით ჩაახშოს მოსახლეობის გაფიცვა, რაც გამოაცხადეს იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქს არ ყოფნის წყალი და ელექტროენერგია.

☐ **პარიზში** კიდევ 10 ამერიკელი ინტერვენტი დაიღუპა პარტიზანებთან შეტაკების დროს სამხრეთ ვიეტნამში. სულ მიმდინარე წლის დასაწყისიდან ინტერვენტებმა დახოცილთა და დაჭრილთა სახით დაკარგეს 112 ჯარისკაცი და ოფიცერი.

☐ **მიუხედავად** იმისა, რომ კოსტა-რიკაში ახორციელებენ აცრას ამერიკული ვაქცინის სოლკას გამოყენებით, გამოვლინდა პოლიომიელიტით დაავადების ახალი შემთხვევები. ამასთან დაკავშირებით ყოველ კვირეული „ლიბერტადი" მოითხოვს, რომ მთავრობამ იზრუნოს ვაქცინის იმპორტზე საბჭოთა კავშირიდან, რადგან იგი ამერიკულ ვაქცინაზე უფრო ეფექტიანია. (საკდესი).

მილიტარისტთა მორიგება

ნიუ-იორკი, 23 მაისი. (საკდესი). ნატოს საბჭოს ოტავის სესიის მონაწილეებმა გუშინ მოიწონეს სამოკავშირეთაშორისო ატომური ძალების შემქმნის გეგმა. ამ ძალების შემადგენლობაში, როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო იუწყება, შევა ინგლისის ბომბდამშენები, „პოლარისის" რაკეტებით შეიარაღებული ამერიკის სამი ატომური წყალქვეშა ნავი და ნატოს მონაწილე რვა სხვა ქვეყნის თვითმფრინავები, რომლებსაც ატომური იარაღის ზიდვა შეუძლიათ.

რასობრივი კრიზისი ბირმინჰემში

ვაზეთების უზარმაზარი სათაურები იუწყებიან ბირმინჰემის ამბებს. პოლიცია ძაღლებს უსვამს ზანგებს — მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს. მათთან საბრძოლველად იყენებს ბრანდსპოტებს, ჯავშნიან მანქანებს, ცრემლსადენ გაზებს.

ახალი არაფერია იმაში, რომ ბირმინჰემის პოლიცია, რომელიც მოწოდებულია იცავდეს და იფარავდეს ქალაქის მცხოვრებთ, ომობს მათ წინააღმდეგ. ზანგების მიმართ ძალადობას წინათაც სჩადიოდნენ ეგრეთწოდებული „კანონიერების დამცველი საზოგადოებანი" მთელი 144 წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ალაბამის შტატი ამერიკის შტატების ფედერაციაში შევიდა.

ახალი კი ის არის, რომ, თუმცა ზანგებს კარგად ესმით, რომ, თავიანთი უფლებების დაცვისას, საფრთხეში აყენებენ თავიანთ სიცოცხლეს, თავისუფლებასა და ჯანმრთელობას, ისინი მაინც არ ერიდებიან ამას...

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ალაბამას მეხუთე ადგილი ეჭირა „ლინჩის წესით გამსამართლებელ შტატებს" შორის. 1882 წლის შემდეგ განვლილ პერიოდში იქ ლინჩის წესით დასაჯეს 299 ზანგი.

ზოგიერთი დანაშაული ჩადენილ იქნა შტატის საკანონმდებლო ორგანოების ოფიციალურ წარმომადგენელთა მონაწილეობით. მაგრამ ხელისუფალთ ყველაფერს აპატიებდნენ ხოლმე, და არც ერთი კაცი იმათგან, ვინც მონაწილეობას იღებდა ზანგების ლინჩის წესით დასჯაში, არასოდეს არ მიუციათ პასუხისგებაში.

ომისშემდგომი წლების განმავლობაში პოლიცია თანდათან ხდებოდა მთავარი ძალა, რომელსაც ზანგების წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდნენ.

ასე მოხდა 1945 წლის ნოემბერში ქალაქ სელმში, სადაც სასტიკი ცემის შემდეგ დაიღუპა სამოცდაათი წლის ქალი ნაისი ბრაუნი. მის სიკვდილში ბრალი მიუძღოდა პოლიციის ოფიცერს, რომელმაც მას ბოთლით გაუტეხა თავი და შემდეგ გამართლებულ იქნა სასამართლოს მიერ. პოლიციელის დამცველმა ნაფიც მსაჯულებს განუცხადა: „თუ ჩვენ განაჩენს გამოვუტანთ ამ გაბედულ კაცს, რომელიც თავისი მოქმედებით იცავს თეთრი რასის უპირატესობის დროშას, მაშინ ჩვენ მოგვიხდება იარაღი მივცეთ შავკანიანებს და ნება დავრთოთ მართონ ის რაიონები, სადაც ცხოვრობენ".

1945 წლის დეკემბერში ქალაქ იუნიონ სპრინგზეში პოლიციელმა ტყვიით მოკლა ედგარ თომასი მის საკუთარ მაღაზიაში და ზანგები ჯეს ჰაიტაუერი და ედ ჰერი. როცა გამოირკვა, რომ მღვდელი ჯ. პინკნი დანაშაულის მოწმე იყო, „კანონიერებისა და წესრიგის გუშაგებმა" აიძულეს იგი დაეტოვებინა ქალაქი, და მკვლელი დაუსჯელი დარჩა.

1946 წლის 17 თებერვალს პოლიციელებმა ბესემერში მოკლეს ომის ვეტერანი ტომოტი ჰუდი.

როცა 1947 წლის 4 მაისს კემპ ჰილში თეთრკანიანმა მოკლა 22 წლის ორსული ქალი, სამი შვილის დედა მეი ნოესი, ქალაქის ხელისუფლებმა უარი განაცხადეს მკვლელის შეპყრობაზე ან მისთვის რაიმე ბრალდების წაყენებაზე.

1948 წლის ოთხ თვეში ბირმინჰემის პოლიციამ ტყვიით მოკლა ცხრა ზანგი, მათ შორის აიკ მედენი, ამასთან მკვლელობის მოტივად გამოაცხადა „წინააღმდეგობის გაწევა დაპატიმრების დროს", ჯონ ჯონსონი, იმავე მოტივით, ელმას შოუ, შერიონ ფრანკლინს ნოუნი „იმ ოფიცერზე თავდასხმისათვის, რომელიც დაპატიმრებას ახდენდა", ჯო პერკინსი — „გაქცევის ცდისას".

განსაკუთრებით მძვინვარებდა ბირმინჰემის პოლიცია. ალბათ არასოდეს არ მოხერხდება იმ ბოროტმოქმედებათა სრული სიის შედგენა, რომლებიც ამ მსხვილი სამრეწველო ცენტრის ზანგი მოსახლეობის მიმართ ჩადენილა.

მკვლელობათა შესახებ ჩვეულებრივად იუწყებოდნენ, რომ ისინი მოხდა „უბედურ შემთხვევათა" შედეგად, ან ჩადენილ იქნა „თავდაცვის მიზნით".

ეგაგალითად როცა სასტიკი ცემის შემდეგ 1949 წლის 13 აპრილს საპარობილეში მოკვდა ჰეიტ კენედი, პოლიციამ განაცხადა, იგი თითქოს თავს დაესხა დაცვის ოფიცრებს. როცა იმავე წლის 28 ივლისს მოკლეს უოლტერ დენდრიჯი, დაჭრეს მისი 60 წლის დედა და ორი ძმა, პოლიციამ განაცხადა, დენდრიჯებმა წინააღმდეგობა გასწიეს, რის შედეგადაც მკვლელობა მოხდაო.

მას შემდეგ, რაც ტრამვაის კონდუქტორმა, 20 ნოემბერს მოკლა სემუელ უილიამსი და კიდევ ორი ზანგი, პოლიციამ უარი თქვა ბრალდება წაეყენებინა მკვლელისათვის, რის მოტივადაც ის მოიყვანა, რომ უილიამსმა უარი თქვა გასულიყო ტრამვაის ბოლოში, ზანგებისათვის გამოყოფილ ადგილას.

1950 წლის 19 ივნისს, როცა პოლიციის სერჟანტმა ანისტონში ტყვიით მოკლა ლორენცო ბესტი, სასამართლო მედიცინის ექსპერტმა ამას უწოდა „მკვლელობა გამამართლებელ გარემოებებში".

წლის განმავლობაში მოკლულ ზანგთა საერთო რიცხვმა 11 კაცი შეადგინა.

ყოველთვის, როცა ზანგები აქტიურად მოითხოვდნენ თავიანთი უფლებების აღიარებას, პოლიცია და მისი დამქაშები, კუკლუქსკლანელები და სხვა მკვლელები, ტერორის გაძლიერებას მიმართავდნენ, მაგალითად, მას შემდეგ, რაც 1954 წელს ამერიკის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა დადგენილება სეგრეგაციის შეწყვეტის შესახებ, ალაბამის ზანგი მოსახლეობის წინააღმდეგ ოფიციალური პირების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვმა წლითიწლობით იწყო ზრდა... ახლა, როცა უმაღლესი სასამართლოს დადგენილებიდან ცხრა წელიწადი გავიდა, ალაბამის შტატში კვლავ გაბატონებულია სეგრეგაცია სკოლებში, და არც ერთ ზანგ ბავშვს თეთრკანიანთა სკოლებში არ უშვებენ!

ბირმინჰემის პოლიციის კომისარი 1957 წელს გახდა გარეწარი რასისტი იუჯინ „�ურო" კონორი. 1960 წლის აპრილში სელმში წარმოთქმულ სიტყვაში კონორმა აშკარად ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ესმის მას „თანასწორუფლებიანობა":

„სამე ის არის, ქალბატონებო და ბატონებო, რომ ზანგებს სულაც არა სურთ რასობრივი თანასწორობა. მათ სურთ შავკანიანების უპირატესობა... ნუთუ დავანებებთ მათ დაგვჯაბნონ? არა, ჩვენ აღვმართავთ კონფედერაციის ალამს, როგორც ჩვენი წინაპრები იქცეოდნენ, და ვეტყვით მათ: „არ გაგიგია!"

სამოქალაქო უფლებათა დაცვის კომისია იძულებული გახდა ჩარეულიყო და 1961 წლის მარტში მოაწყო ფაქტების შესწავლა თვით ბირმინჰემში. კომისიის ანგარიში, რომელიც შარშან გამოქვეყნდა, შეიცავდა შემდეგ დასკვნებს ძალადობის პოლიტიკის შესახებ, რასაც ზანგი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართავენ: „პოლიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ფარულად უთანხმდება კუკლუქსკლანელებს, ბევრი მათგანი კი კუკლუქს-კლანის წევრია".

დაკითხულთა დაახლოებით 65 პროცენტმა კომისიის ანკეტის პასუხად განაცხადა, რომ ადგილობრივი ხელისუფალნი მუშაობენ ისეთ ტერორისტულ ჯგუფებთან ერთად, როგორიც კუ-კლუქს-კლანია.

ჩვენ მიერ აწერილი ამბავი ის ფონია, რომელზეც ხდება უკანასკნელი თვის ეგრეთწოდებული „რასობრივი" კრიზისი ბირმინჰემში. სავსებით ცხადია, რომ, არა მარტო ალაბამის ხელისუფალნი, არამედ შეერთებული შტატების მთავრობაც და უწინარეს ყოვლისა იუსტიციის სამინისტრო ჩინებულად არიან ინფორმირებულნი იმ ამბების შესახებ, რომლებიც წინათ ხდებოდა და ამუამად გაჩაღდა.

ამერიკის კონსტიტუციის მე-13, მე-14 და მე-15 შესწორებანი უფლებას აძლევენ მთავრობას ჩაერიოს საქმეში. ხოლო ის გარემოება, რომ კენედის მთავრობა დღემდე არ იღებს გადამწყვეტ ზომებს, ჩანს, რადაც სხვა მოტივებით აიხსნება.

სამოქალაქო თავისუფლებათათვის მებრძოლებს მიაჩნიათ, რომ თუ შეერთებული შტატების პროგრესული ძალები გაერთიანდებიან ზანგების უფლებებისათვის ბრძოლაში, მთავრობა იძულებული იქნება მიიღოს ზომები თავისი ქვეყნის კონსტიტუციის დასაცავად.

„პიპლს უორლდი",

1963 წლის 18 მაისი.

(საგენტო „ახალი ამბები")

კოლიცია არგევს შავკანიანებს

მსოფლიო აღშფოთებულია, პროგრესული კაცობრიობა ბოიკოტს ბრძანებს ამის მიზეზია XX საუკუნის „ცივილიზებული" კანიბალების ვერაგული მოქმედება ზანგების მიმართ.

ბირმინჰემი.... ეს ამერიკის შეერთებული შტატების ის ქალაქია, სადაც დღეს გაშიშვლებულად მოქმედებს ჯუნგლების კანონი — ადამიანი ადამიანისათვის მგელია. და მართლაც ანგლოსაქსები ცოფიანი მგლებივით დაერივნენ ზანგებს. ამერიკის მიწაზე ნაკადულებად იღვრება უდანაშაულო შავკანიანთა სისხლი...

ალაბამის შტატში იწვის ზანგთა ქოხები, პოლიციის დაგეშილი ძაღლები ფლეთენ შავკანიანებს, ყველგან მძვინვარებს საშინელი ტერორი... დახედეთ ამ სურათს, რომელიც ჩვენს დღევანდელ გაზეთში იბეჭდება. იგი ამოღებულია ფრანგულ ჟურნალ „პარი-მატჩიდან", რომელიც ასახავს ზანგებზე ნადირობის ერთ ეპიზოდს.

საქართველოს
ერთ-ერთი ღვაწლმოსილი ინჟინერი ენერგეტიკოსი

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲦᲕᲐᲬᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲝᲡᲘ

პროფესორი პავლე გიორგის-ძე შენგელია, რომლის დაბადების 60 წლისთავი ახლახან აღინიშნა ჩვენმა საინჟინრო საზოგადოებრიობამ. პ. შენგელია დაიბადა 1903 წელს ქალაქ ქუთაისში, ხელოსანი მუშის ოჯახში. მშობლები ადრე გარდაეცალა. ცხოვრების ვრცელი გზა განვლო ინჟინრის სპეციალობის მოპოვებამდე.

1928 წლიდან პ. შენგელია მუშაობას იწყებს საქართველოს მაშინდელი ყველაზე დიდი ელექტროსადგურის — რიონჰესის მშენებლობის სამმართველოს საპროექტო განყოფილებაში ჯერ ტექნიკოსად, შემდეგ ინჟინრად, ბოლოს უფროს ინჟინრად. აქ მუშაობის პერიოდში მან კრიტიკული ანალიზი გაუკეთა გერმანელი სპეციალისტის ა. ლუდინის ხელმძღვანელობით შედგენილ მდინარე რიონის გამოყენების სქემას, დაამტკიცა მისი გადაკეთების აუცილებლობა, დასვა მაღალი კაშხალების გამოყენების მიზანშეწონლობის საკითხი, შეადგინა რიონის კომპლექსური გამოყენების ახალი, უფრო სრულყოფილი სქემა.

ოთხი წლის შემდეგ პ. შენგელიას ჰიდროენერგეტიკის საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის თბილისის განყოფილებაში (თბილჰიდეში) ვხედავთ ჯერ უფროს ინჟინრად. შემდეგ ჰესების დაპროექტების ბიუროს მთავარ ინჟინრად. ამ პერიოდში მისი უშუალო ხელმძღვანელობით წამოყენებულ და დამუშავებულ იქნა ამერიკაკავკასიის რამდენიმე ათეული საშუალო და მცირე მდინარის გამოყენების სქემები. მან უფრო დეტალურად დაამუშავა რიონის შუაწელის გამოყენების სქემა, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ისეთი პირველი რიგის ჰესების პროექტებს, როგორიც არის გუმათის, ლაჯანურის, ნამახვანისა და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების პროექტები.

პ. შენგელიამ დიდი როლი შეასრულა აგრეთვე ბეჟუეთის და ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურების დაპროექტების საქმეში. აქედან ბეჟუეთის ჰესის სქემაში სათანადო ცვლილებების შეტანით საბოლოოდ აგებულ იქნა 1,5-ჯერ უფრო მეტი სიმძლავრის ჰესი, ვიდრე თავდაპირველად იყო გათვალისწინებული.

1944 წლიდან, სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით პ. შენგელია გადადის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიაში ენერგეტიკის

განყოფილების უფროსად. ამავე დროს იგი მუშაობას აგრძელებს თბილჰიდეში კონსულტანტად. მისი მონაწილეობით შედგა საქართველოს მსხვილი ჰიდროენერგომშენებლობის განვითარების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პერსპექტიული გეგმები. იგი უშუალოდ მონაწილეობდა მრავალი სასოფლო-სამეურნეო ჰესის დაპროექტებაში.

ინტენსიურ და ნაყოფიერ პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად პ. შენგელია სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობასაც ეწევა. 1932 წლიდან აქვეყნებს მთელ რიგ შრომებს, რომლებიც საქართველოსა და ამერიკაკავკასიაში ჰიდროენერგეტიკის განვითარების საკითხებს ეხება, ხოლო 1947 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას.

განსაკუთრებით ფართოდ იშლება პ. შენგელიას სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში. აქ იგი ხელმძღვანელობს საქართველოს ჰიდროენერგეტიკის განვითარების სამეცნიერო საფუძვლების დადგენის პრობლემას.

1956 წელს პ. შენგელია იცავს სადოქტორო დისერტაციას, ხოლო 1958 წელს იღებს პროფესორის წოდებას. 1961 წელს მას ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ჰიდროენერგეტიკის დარგში. პ. შენგელიას კალამს ეკუთვნის 40-ზე მეტი ნაბეჭდი შრომა. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1961 წელს გამოშვებული მონოგრაფია „მთის მდინარეების კასკადური გამოყენების საკითხები“, რომელმაც საბჭოთა კავშირის და უცხოელი წამყვანი მეცნიერ-ჰიდროენერგეტიკოსების მაღალი შეფასება მიიღო.

საინჟინრო და სამეცნიერო საქმიანობის გარდა პ. შენგელია დიდ ორგანიზაციულ და საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. მისი ხელმძღვანელობის დროს ენერგეტიკის ინსტიტუტი მნიშვნელოვნად გაფართოდა და გაიზარდა. საგრძნობლად გაფართოდა ლაბორატორიული ბაზაც, შეიქმნა ახალი განყოფილებები, მნიშვნელოვნად გაიზარდა ინსტიტუტში დამუშავებული თემატიკის მოცულობა და აქტუალობა, აღიზარდნენ და განმტკიცდნენ მეცნიერ-მკვლევართა მაღალკვალიფიციური კადრები, ინსტიტუტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის განყოფილების ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი.

დიდი დამსახურება მიუძღვის პ. შენგელიას ჩვენს რესპუბლიკაში მაღალ კაშხალებთან დაკავშირებულ კვლევით, საპროექტო და ექსპერიმენტულ სამუშაოთა ორგანიზაციის საქმეში.

პ. შენგელიას დაუღალავმა შრომამ და საქმიანობამ პარტიისა და ხელისუფლების მაღალი შეფასება მიიღო. 1954 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1962 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. პ. შენგელია ეშმარიტად ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსი, ენერგეტიკის განვითარების დიდი პატრიოტი.

თ. გეგელია,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲘ: პ. შენგელია.

„ᲝᲗᲔᲚᲝᲡ“ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ

უკვე ხუთ წელზე მეტია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დიდი და დამსახურებული წარმატებით იდგმება ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲐᲛᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ბალეტი „ᲝᲗᲔᲚᲝ“. სპექტაკლის ავტორისა და დამდგმელის — სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜᲘᲡ მიერ შექმნილი ვენეციელი მავრის ბრწყინვალე საბალეტო სახე საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების მშვენება და სიამაყე გახდა.

დღეს ნაჩვენები იქნება „ოტელოს“ ᲛᲔᲝᲗᲔ, ᲡᲐᲘᲣᲑᲚᲘᲡᲘ სპექტაკლი. სპექტაკლში მთავარ როლებს შეასრულებენ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜᲘ, რესპუბლიკის სახალხო არტისტები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ᲕᲔᲠᲐ ᲬᲘᲜᲓᲐᲫᲔ და ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲘᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები Ე. ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜᲘ და ბ. ᲛᲝᲜᲐᲕᲐᲠᲓᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ, მსახიობი ტ. ᲙᲝᲡᲝᲕᲐ და სხვ.

სპექტაკლის დირიჟორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ᲝᲓᲘᲡᲔᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲐᲓᲘ.

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ საჩუქარი მიიღეს ტყიბულელმა პიონერებმა, მეშახტეთა ქალაქში დამთავრდა პიონერთა და მოსწავლეთა კეთილმოწყობილი სასახლის მშენებლობა. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: პიონერთა და მოსწავლეთა ახალი სასახლე ტყიბულში.
ფოტო გ. გერსამიასი და ა. მაჭავარიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲔᲔᲚᲛᲐᲕᲚᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲑᲔᲕᲠᲘ ხაშურელი მეელმავლე და მეორთქმავლე წარმოების მოუწყვეტლივ სწავლობს უმაღლეს სასწავლებლსა და ტექნიკუმებში.

ელექტრომავლის მემანქანე გიორგი დათიაშვილი წარმატებით სწავლობს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე. ახლა ის მე-4 კურსზეა. ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე უშანგი ბლიაძე სწავლობს როსტოვის სატრანსპორტო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

ნაყოფიერ შრომას წარმოებაში წარმატებით უთავსებენ უმაღლეს სასწავლებლებში დაუსწრებლად სწავლას ამავე დეპოს ზეინკალი ავთანდილ თევდორაშვილი, ელმავლის მემანქანის თანაშემწე სიმონ ფუხაშვილი და სხვები.

დ. ᲤᲐᲠᲔᲯᲣᲮᲕᲘ.

„ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲑᲚᲝᲙᲜᲝᲢᲘ“ № 10

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲓᲐ ჟურნალი „აგიტატორის ბლოკნოტი“ № 10. ნომერი მთლიანად მიძღვნილია თბილისის აგიტატორთა პირველი მეთოდური კონფერენციისადმი.

ᲯᲐᲜᲭᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲔᲠᲐ

ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲐᲢᲘ „ᲛᲐᲮᲘᲜᲯᲐᲣᲠᲘ“

დაბა მახინჯაურში სოფელ კარადერეს პატარა მდინარე საკალმახეს ხეობაში გაშენებულია პანსიონატი „მახინჯაური“. იგი რკინიგზის სადგურს დაშორებულია 2 კილომეტრით და მას ხეივნებით დამშვენებული მოასფალტებული გზით უკავშირდება. ამ ადგილს სამი მხრიდან ესაზღვრება ამწვანებული მთები.

პანსიონატის ტერიტორიაზე და მის ირგვლივ წიწვიანი და სუბტროპიკული მცენარეებია. ზაფხულის ცხელ პერიოდშიც კი აქ გრილი და სასიამოვნო ჰაერია.

მახინჯაურის სამკურნალო წყალი უძველესი დროიდან არის ცნობილი. საქართველოშინ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მის ექსპლოატაციას პრიმიტიულ პირობებში აწარმოებდა გერმანელი კონცესიონერი პანცერი. საბჭოთა ხელისუფლების დროს ამ მინერალური წყლის თვისებები მეცნიერულად იქნა შესწავლილი. დადგენილია, რომ წყალი შეიცავს გოგირდ-წყალბადოვან ელემენტებს და უახლოვდება მენჯისა და მაცესტის საარაზნარ წყლებს. კარგ შედეგს იძლევა რადიკულიტის, იშიაზის, ნევრასტენიის, ისტერიის, რევმატიზმის, ლუმბაგოს, ფლებესიტის, მაღალი და დაბალი წნევის მკურნალობის დროს, გინეკოლოგიური და კანის დაავადების საწინააღმდეგოდ. აგრეთვე ირკვევა, რომ აუმჯობესებს მდგომარეობას ასთმის, კუჭნაწლავის ქრონიკული კატარის, ნივთიერებათა ცვლის დაავადებისა და კარდიოსკლეროზით მკურნალობისას.

პანსიონატის 50 საწოლი პატარ-პატარა ხის ბარაკებში იყო მოთავსებული. უმეტესობა აბაზანებს იღებდა ამბულატორულად, წელს საეკსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კაპიტალური სამსართულიანი სახლი და ახლა ერთდროულად სტაციონალურად მკურნალობს 100-120 კაცი. ამ შენობის პირველი სართული დამამობილი აქვს სასადილო დარბაზს.

დასანანია, რომ ბუნებრივი ბინებით ასე უხვად დაჯილდოებული კურორტი მარტო სეზონურად მუშაობს. პანსიონატი იხსნება აპრილში და იხურება ნოემბერში, დანარჩენ ხუთ თვეს კი ეს ძვირფასი სამკურნალო წყლები იკარგება.

ამჟამად პანსიონატს შეუძლია მთელი წლის განმავლობაში მუშაობდეს. საჭიროა მხოლოდ ცენტრალური გათბობის მოწყობა. ეს კი ძნელი არ არის, რადგან პანსიონატს უდგას ორი დიდი სართველი ქვაბი და შეიძლება გათბობა მოეწყოს ორთქლით.

საბაზანო წყლის დღეღამის დებიტი 50.000 ლიტრს შეადგენს, რაც საკმარისია ყოველდღიურად 180-200 კაცის მომსახურებისათვის. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები პანსიონატის წარმადობის გასაადიდებლად. ამისათვის უნდა შესრულდეს დამატებითი გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები.

• პანსიონატში საგზურებით გამოგზავნილი პირებიდან 15-20 პროცენტი არ საჭიროებს აბაზანებს. პანსიონატში უნდა იგზავნებოდნენ ისეთი პირები, რომლებისთვისაც აუცილებელია აბაზანები.

საჭიროა მეტი უურადღება მიექცეს ჯანმრთელობის ამ ძვირფას კერას და მის კეთილმოწყობას.

ნ. ᲠᲣᲡᲘᲔᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲔᲥᲠᲝᲑᲐ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡᲐ და საბჭოთა კალათბურთელები მსოფლიო ჩემპიონატის ფინიშზე ისე მივიდნენ, რომ არც ერთი დამარცხება არ განუცდიათ. ამიტომ ამ ორი კოლექტივის შეხვედრა რიო-დე ჟანეიროში პირველობის ცენტრალური ისპანურობა იყო.

ბრაზილიელ კალათბურთელებს საკუთარ მოედანზე ბევრი გულშემატკივარი ჰყავდათ და, ცხადია, მხარდაჭერაც ჰქონდათ, მაგრამ მასპინძელთა წარმატების მთავარი ფაქტორი მარტო ეს რიდი იყო, არამედ მათი მაღალტექნიკური და შეუპოვარი თამაში.

პირველ ტაიმში უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. იგი დამთავრდა მასპინძელთა სასარგებლოდ ერთი ქულის სხვაობით — 43:42. მეორე ნახევარში ბრაზილიელებმა შორიდან ზუსტი ტყორცნებით ხელთ იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს ანგარიშით 90:79.

ჩემპიონატის სარეკორდო ანგარიში ფიქსირებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის გუნდების

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ უძლიერეს მოჭადრაკეთა და მოწვეულ ოსტატთა ტურნირის დამთავრებას ერთი ტურიღა უკლია. გამოირკვა გამარჯვებული — საერთაშორისო ოსტატი შამკოვიჩი, მაგრამ ბრძოლა დანარჩენი საპრიზო ადგილებისა და ოსტატის ნორმისათვის ჯერ კიდევ გრძელდება.

გუშინდელ მეთოთხმეტე ტურში კიკინაძმ ეტლის ეფექტური შეწირვით დაუშამათა ჰალილბეიელის შეფე. ბერაძემ მატერიალური უპირატესობა მიიღო და სძლია არნშტეინს. თხელიძემ — ჯინჯიხაშვილს. ყაიმზე შეთანხმდნენ ბუსლაევ-ჩიქოვანი, კალატოზიშვილ-ლომაია და ბლაგიძე-ხოლმოვი. გურგენიძე-შიშოვის პარტიაში საქართველოს ჩემპიონმა თამაშიდან გამოთიშა შავების კუ, რაც მას გადადებულ პოზიციაში მოგების შესაძლებლობებს აძლევს.

„ᲛᲘᲚᲐᲜᲘ“ — ᲗᲑᲘᲡᲘᲡ ᲤᲣᲚᲛᲝᲒᲔᲚᲘ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალური მატჩი შედგა ლონდონში პორტუგალიის „ბენფიკასა“ და იტალიის „მილანის“ გუნდებს შორის. შეჯიბრება ხასიათდებოდა' შეუპოვრობით და დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1. ამრიგად, იტალიის „მილანი“ პირველად გახდა ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი.

„ᲒᲣᲠᲔᲕᲘᲩᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲙᲘᲨᲘᲜᲘᲝᲕᲨᲘ დამთავრდა სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ პირველობის გათამაშება ფრენბურთში. ვაჟთა კოლექტივებს შორის საქართველოდან გამოდიოდნენ თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები.

წარმატებით გამოვიდა თბილისის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელთა კოლექტივი, რომელმაც შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა და ჩემპიონობა მოიპოვა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲪᲐᲛᲔᲢᲘ ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲛᲣᲨᲘᲓᲝᲑᲘᲡ მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეებმა დისტანციის დიდი ნაწილი გაიარეს და ფინიშს უახლოვდებიან.

მეთორმეტე ეტაპი ბაუცენ-დროზდენი იყო. მანძილი 57 კილომეტრი (ინდივიდუალური რბოლა) ყველაზე ადრე გაიარა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა კ. ამპლერმა. (1 საათი, 18 წუთი და 39 წამი).

მეცამეტე ეტაპზე (დროზდენი-ერფურტი) უძლიერესი იყო საბჭოთა სპორტსმენი გ. ლებედევი. 245 კილომეტრი მან გაიარა 6 საათში, 4 წუთსა და 42 წამში. საბჭოთა ველოსიპედისტებმა გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაშიც.

13 ეტაპის შემდეგ ლიდერია კ. ამპლერი (გდრ). გერმანელი ველოსიპედისტი ინარჩუნებენ აგრეთვე გუნდურ ლიდერობას.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ მატჩი ბრაზილიის „ფლამენგომ“ გამართა გუშინ ლენინგრადში კიროვის სახელობის სტადიონზე სსრ კავშირის ფეხბურთელთა ახალგაზრდულ ნაკრებთან. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ჩვენი რესპუბლიკიდან თამაშობდნენ ხუროცლაკა და კუტიკაძე.

ᲛᲐᲢᲩᲘ ქ. ყეშუაში (პოლონეთი) ადგილობრივი „სტალისა“ და „მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის დამთავრდა პოლონელთა გამარჯვებით ანგარიშით 5:1. გუშინ დინამოელები თამაშობდნენ პოლონეთის „ჯაკოვიასთან“ და კვლავ დამარცხდნენ — 2:3.

რედაქტორი
დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲑᲐ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). სარაიონთაშორისო გაზეთმა „კომუნიზმის გზამ“ დაბეჭდა სოფლკორ გ. მარცვალაშვილის საინტერესო ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია:

ფშავის ხეობაში რამდენიმე დღე გადაუღებლად წვიმდა. მდინარე ჩარგლულა გაშმაგებული მოაგორებდა მღვრიე ტალღებს. ერთ დღეს სოფელ ჩარგალში წივილ-კივილი ატყდა — გვიშველეთ, წყალმა ბავშვი წაიღო, დაგვეხმარეთო. სოფლელებმა მდინარის ნაპირთან მიირბინეს, მაგრამ წყალში შესვლას ვერავინ ბედავდა. ბავშვს ყოველ წუთს სიკვდილი ელოდა.

ამ დროს სირბილით მოვარდა დიდი ქართველი მგოსნის ვაჟა-ფშაველას შვილიშვილი, ჩარგლის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ალექსი ვახტანგის-ძე რაზიკაშვილი, რომელიც წამსვე მდინარეში შევარდა. მამაცი ვაჟკაცი მალე დაეწია ბავშვს, ხელი სტაცა და ნაპირზე გამოიყვანა. გულწასული ბავშვი აღმოჩნდა მისი მოწაფე მეორეკლასელი ბაბალე გარსევანიშვილი. გოგონა მალე მოასულიერეს.

ა. რაზიკაშვილს თანასოფელელებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს.

ᲦᲠᲣᲑᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲜᲘ

ᲡᲐᲛᲡᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲥᲡ�პᲔᲓᲘᲪᲘᲐ

ᲯᲐᲒᲐᲮᲔᲗᲘᲡ მაღალ მთებში ავიდნენ თბილისის ჰიდრომეტეოროლოგები. აქ სამსარის და ჯავახეთის ქედებს შუა მდებარე ფარაგნის ტბის სამხრეთით ახალქალაქის რაიონის სოფელ როდინოოგაკში მათ შექმნილი აქვთ თავიანთი დიდი ექსპედიციის მუდმივი ბაზა.

რა აინტერესებთ მათ აქ? რაზე მუშაობენ ორი წლის განმავლობაში?

მათ აინტერესებთ მძლავრი ბოლქვ-ბოლქვად შექუჩებული ღრუბლები, სეტყვის წარმოქმნის ფიზიკური პროცესები, ატმოსფეროს ქცევა მაღალ ქედებზე. ისინი ზღვის დონიდან 2.200 მეტრ სიმაღლეზე მუშაობენ. ეს ოთხჯერ უფრო მაღალია, ვიდრე სეტყვის საწინააღმდეგო ცნობილი ალაზნის ექსპედიციის მუშაობის პოზიციები.

სამსარის მაღალმთიანი ექსპედიცია მოაწყო ამიერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევმა ჰიდრომეტეოროლოგიურმა ინსტიტუტმა. შემდეგ მას შეუერთდნენ სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს ცენტრალური აეროლოგიური ობსერვატორია და ყაბარდო-ბალყარეთის მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტი.

სამსარის ექსპედიციამ შექმნა ორი პოლიგონი — როდიონოოკასა და დარაკოოვში — სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტების გასაშვებად, ხუთი სტაციონარული პუნქტი სამსარის ქედის გაყოლებით, რამდენიმე ბაქანი ჯავახეთის ქედის გაყოლებით და მოძრავი პუნქტი „გაზ-47“ მარკის მანქანაზე. გარდა ამისა. სეტყვის ზემოქმედების ეფექტურობის სწორი შეფასებისათვის. სეტყვისა და წვიმის საზომი ცხრილის 59 საგუშაგო მუშაობდა. მათ მოიცვეს დიდი ფართობი ექსპედიციის მოქმედების რაიონის გარშემო.

ექსპედიციის მეცნიერი მუშაკები ეწეოდნენ ფართო მეტეოროლოგიურ, რადიოსაზონდო, ბურთ-პილოტებით და მანძილზომითს დაკვირვებას. იკვლევდნენ აეროსინოპტიკური პირობების თავისებურებებს ამ რაიონში. აქ მოსული სეტყვის კაკლების სტრუქტურას. ექსპედიციამ მოახდინა ატმოსფეროს ტემპერატურისა და კარის 500-მდე ზონდირება 20-25 კილომეტრ სიმაღლეზე. ამავე დროს წარმოებდა ვერტიკალური განვითარების ღრუბლების ცალკეული ფორმების ფოტოგადაღება და კინოგადაღება. ყველაზე ხშირად ამ ღრუბლებიდან მოდის სეტყვა. ერთი სიტყვით, გამოყენებულ იქნა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ყველაზე თანამედროვე ტექნიკა.

ექსპედიციაში მოქმედებდნენ სინოპტიკურ-მეტეოროლოგიური, რადიოსალოკაციო, სარაკეტო რაზმები, დამკვირვებელთა ჯგუფი და მეკავშირეთა ჯგუფი. ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ ამიერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, დოცენტი ვ. ბ. ლომინაძე და ღრუბლების ფიზიკის და მათზე აქტიური ზემოქმედების ლაბორატორიის უფროსი, მეცნიერებათა კანდიდატი ი. ტ. ბართინშვილი.

გაკეთებულია სერიოზული ცდები. დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ატმოსფეროს ვერტიკალური სტრატიფიკაციისა და ტურბულენტურ დინებათა შესწავლას, რომლებიც თვითმფრინავების რყევას იწვევენ. რაკეტები არაერთხელ სტყორცნეს სეტყვის ღრუბლებს. ექსპედიციამ შეამოწმა სხვადასხვა რეაგენტი და სხვადასხვა მარკის რაკეტები. მიწიდან რაკეტების ტყორცნის გარდა დაფრინავდა თვითმფრინავი ილ-14, რომელიც სპეციალურად მოწყობილია ქიმიური საშუალებების გასაშვებად მძლავრ ბოლქვ-ბოლქვად შექუჩებულ ღრუბლებში.

— წელს, — ამბობს ამხ. ლომინაძე, — სამსარის ექსპედიციის სამუშაოები ღრმავდება და ფართოვდება. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს შესწავლა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ატმოსფეროს ფრონტალურ დაყოფათა სტრუქტურისა. ფრონტალური ღრუბლები იმ მეტეოროლოგიურ მოვლენათა მთავარი მატარებლები არიან, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ სახალხო მეურნეობას. ესენია სეტყვა, დელგმა, ელჭექი და სხვ.

თუ დღემდე ექსპედიცია აწყობდა ნატურულ ცდებს მხოლოდ სეტყვის წინააღმდეგ, ახლა იგი გაშლის აგრეთვე სხვა მეტეოროლოგიურ მოვლენებზე — დელგმაზე, ელჭექზე, ნისლზე და სხვ. — ხელოვნური ზეგავლენის ცდებს.

ექსპედიციის აღჭურვილობა უფრო მდიდარი და ძლიერი გახდა. მაგალითად, სხვადასხვა მეტეორების წარმოქმნის შესწავლა იწარმოებს ორი ტიპის მძლავრი რადიოლოკატორების შემწეობით.

სამსარის ექსპედიციის მუშაობით დაინტერესდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების ატმოსფერული ფიზიკის კათედრები. მათ სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიიღონ ფრონტალური ღრუბლების შესწავლაში.

ექსპედიციის მონაწილეთა პირველი ჯგუფი უკვე გაემგზავრა შორეულ მთებში. უახლოეს დღეებში გაემგზავრებიან დანარჩენები. გზა მშვიდობისა და წარმატება მუშაობაში, ამხანაგებო!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲒᲘᲗᲘᲜᲔᲑᲡ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲔᲜ...

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲒᲘᲜᲔᲑᲨᲘ

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). დღითიდღე იზრდება მარგანეცის ქალაქის ახალი დასახლებული უბანი — ნაგუთი.

ამ დღეებში აქ დამთავრდა სამი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მაღაროელთა და მშენებელთა 96 ოჯახმა მაისში ახალმოსახლეობა იზეიმა.

Ი. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ სახელობის მედიცინის მუშაკთა სახლში ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა რესპუბლიკურმა და თბილისის სამეცნიერო საზოგადოებათა გამგეობებმა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა მოაწყეს შემოქმედებითი განხილვა აკადემიკოს ავლიანი ზურაბაშვილის მონოგრაფიისა — „ზოგიერთი კლინიკურ-თეორიული ძიება ფსიქიატრიაში“, რომელსაც მინიჭებული აქვს ბეხტერევის სახელობის პრემია.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა ე. გობრონიძემ. ფსიქოთერაპიის და რეაქტიულობის პრობლემებზე ილაპარაკა პროფესორმა ი. მენთეშაშვილმა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა ე. ნაკაშიძემ, ვ. იაშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ბ. ნანეიშვილმა. განხილვას მონაწილეებმა მადლობა შეფასება მისცეს ქართველი მეცნიერის წიგნს, რომელსაც ჩვენი სამშობლოს გარეთაც იცნობენ და დიდ ანგარიშს უწევენ.

დასასრულ გამოვიდა აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი, რომელმაც ილაპარაკა უახლეს ფსიქოლოგო-ფსიქოპათოლოგიურ და კლინიკურ-ნეიროდინამიკურ პრობლემებზე და მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ყურადღებისათვის.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲡᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმომეტრიული ლაბორატორიის გამგე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა გური ალექსანდრეს-ძე თვალთვაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის, მექანიკა-მათემატიკისა და ქიმიის ფაკულტეტების გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს სხვორა სხდომაზე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე — **„ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲔᲠᲩᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲔᲘᲡᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚ ᲰᲝᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲗᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲐᲒᲔᲑᲐ“.**

**სსრ კავშირ